*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. გოჩა ღონღაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ირინა გოგონაია - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ნინო თედორაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ნინო ლაცაბიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. თინათინ მარქარაშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
7. როლანდ ხოჯანაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. მანანა შეროზია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. საბა დარსაველიძე - ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ნინო ვაშალომიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

# ნაწილი I. შესავალი

## *I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ*

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 223104389 |

## *II. საკონტაქტო ინფორმაცია*

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ასპინძის მუნიციპალიტეტი |
| იურიდიული მისამართი | ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა |
| ფაქტობრივი მისამართი | ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა |
| საფოსტო ინდექსი | |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/1764?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | oti@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 595514022 |

## *III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ*

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17/08/2023, ბრძანება N1005510 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერი |

## *IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ*

*„ზოგადი განათლების შესახებ"* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | განხორციელების ენა | ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1 | დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ოთა |
| 2 | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ოთა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი, საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტი და ცენტრის წარმომადგენელი.
სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, ვინც ბრძანებით იყვნენ გამოყოფილი ექსპერტთა ჯგუფთან სამუშაოდ, კიდევ ერთხელ გავიარეთ დღის წესრიგის პუნქტები, ვუთხარით, რომ ვიზიტი წარმოდგენილი რეჟიმით განხორციელდება და ამასთანავე გავაცანით საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების განრიგი. ვიზიტის მიმდინარეობის ორივე დღეს ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი.

### *VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ*

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### *VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა*

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### *I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☑ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☑ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| უსაფრთხოება | ☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☑ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## *II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება*

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: -----60----- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☑ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## *III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.*

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**

**საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## *IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება*

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი* | | |

**დაწყებითი საფეხური**

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი ....* | | ............. |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| სტანდარტი 1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.2.1.3. | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნე სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლი ყოველწლიურ თვითშეფასებას; | სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავება აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 – 20.12.2023 |
| ინდიკატორი 1.2.1.4. | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვად ინდიკატორები, რეალისტური ვადებ პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურულ ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელი უზრუნველყოფაც რეალისტურია. | სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს ამოცანები, აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და საჭირო რესურსები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 – 20.12.2023 |
| | | |
| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი 3.1.2.3 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის | სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით: ა) პირადი საქმეები |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | *შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;* | *სრულყოფილად გახსნას ყველა თანამშრომელზე; ბ) პირად საქმეებში სრულყოფილად წარმოადგინოს ცნობები "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის შესახებ"; "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" და ნასამართლეობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებს). აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 10.10.2023-30.11.2023* |
| *ინდიკატორი 3.4,1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით: ა) მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; ბ) შეიმუშაოს, დაადმტკიცოს და უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 8.11.2023-30.12.2023* |
| *ინდიკატორი 3.4.1.2.* | *სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;* | *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით: სკოლის შიდა პერიმეტრის კიბის უჯრედები აღჭურვოს ვიდეოსათვალთვალო კამერებით. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 1.11.2023-30.12.2023* |
| ***სტანდარტი 4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი 2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი .... | | ............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

1. I, III და IV სტანდარტი

| სტანდარტი | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 1.1.1.1. | სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; | სკოლას ეძლევა რჩევა ხედვა ჩამოაყალიბოს დროში გათვლილ, გაზომვად და მისიის შესაბამის საშუალოვადიან (ან გრძელვადიან) მიზნად. |
| ინდიკატორი 1.1.1.3. | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; | სკოლას მიეცა რჩევა, რომ მშობლებთან ოფიციალური შეხვედრების ასახვისთვის აწარმოოს დოკუმენტები |
| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი .3.1.2.2 | სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; | რადგან სკოლა ახორციელებს პრევენციულ და ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას, მაგრამ გაწერილი არ აქვს ის რასაც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | *ახორციელებს, სკოლას ეძლევა რჩევა, სკოლის შიდა მარეგულირებელ რომელიმე დოკუმენტში გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *1.სკოლას ეძლევა რჩევა მოსწავლეთა რაოდენობის გამო (50-დან 100-მდე ჩათვლით) იზრუნოს ექიმის აყვანაზე,*<br>*2. სკოლას ეძლევა რჩევა აიყვანის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი* |
| *ინდიკატორი 3.5.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;* | *სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან* |
| ***ინდიკატორი 3.5.1.2.*** | *დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;* | *სკოლას ეძლევა რჩევა წიგნების ის ნაწილი, რომელიც დამუშავებული არ არის, დაამუშაოს და აღრიცხოს საბიბლიოთეკო წესით* |
| ***ინდიკატორი 3.5.1.5.*** | *სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები* | *სკოლას ეძლევა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას გაუკეთოს რეკონსტრუქციის რომ შეძლონ პრაქტიკულად უფრო კომფორტულად გამოიყენონ* |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| | | |

დაწყებითი საფეხური

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | (დაწყებითი საფეხური) | |
| *ინდიკატორი* 2.1.2.1. | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ბუნებისმეტყველება -ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად „ცოცხალ“ ცდებს/ექსპერიმენტებს, აქედან გამომდინარე, კურიკულუმის ჩარჩოში ვიდეოექსპერიმენტების რესურსებთან (ლინკები) ერთად, სასურველია შეტანილ იქნას კლასში განსახორციელებელი სადემონსტრაციო ცდებისა და ექსპერიმენტების დასახელებები, საჭირო მასალები და მოწყობილობები.<br><br>**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** - სასურველია, სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის პირველი კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეის ველში დააზუსტოთ თუ რა შემოქმედებით პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები მოცემული კომპლექსური დავალების განხორციელებისას, ასევე I და II კლასებში სამივე თემატური და III და IV კლასებში თემატური ბლოკები,,ხელოვნება ჩვენ გარშემო'' (III კლასში) და ,,ადამიანი<br>და ხელოვნება'' (IV კლასში) ჩაასწორდეს ისე , რომ დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული ოთხივე სამიზნე ცნება, |
| *ინდიკატორი* **2.1.2.1.** | სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; | კომპიუტერული ტექნოლოგიები- მასწავლებელს მიეცა რჩევა ალგორითმის ცნების დამუშავებისას გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი (მაგ: სახელმძღვანელო ,, გამარჯობა,რუბი!“) რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას და სხვადასხვა უნარის განვითარებას, ხოლო ციფრული მოქალაქეობის ცნების დამუშავებისას „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის“, რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. |
| *ინდიკატორი* 2.1.2.4. | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ | კომპიუტერული ტექნოლოგიები -მასწავლებელს მიეცა რჩევა, რომ მოსწავლ ნამუშევრის წარმოდგენის შემდგომ გამოიყენოს სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | | |
|---|---|---|
| | ორიენტირებს; | აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა მასწავლებელმა) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მისცა მოსწავლეს). |
| | | |
| *ინდიკატორი* 2.2.2.1. | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | ბუნებისმეტყველება-საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და განხორციელება აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად „ცოცხალ" ცდებს/ექსპერიმენტებს, ამ საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე. აღნიშნულის და სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები ასევე უნდა დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში. |
| *ინდიკატორი* 2.2.2.2. | საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; | კომპიუტერული ტექნოლოგიები -კიბერუსაფრთხოებასთან, კიბერსივრცეში უსაფრთხო ქცევის ნორმებთან, პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით დაგეგმილ შეხვედრების და აქტივობების დამხმარე რესურსად გამოიყენოს „ინტერნეტში უსაფრთხოების გზამკვლევი ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის", რომელიც ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესებსა და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. |
| *ინდიკატორი* 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; | **უცხო ენა-** სკოლამ გაწეროს თუ როგორ მოხდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, ვის მიერ განხორციელდება და რა გზით. |

საბაზო საფეხური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* 2.1.2.1. | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ქიმია-** საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და განხორციელება აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად „ცოცხალ“ ცდებს/ექსპერიმენტებს, ამ საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე. აღნიშნულის და სსიპ -ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები სასურველია დაფიქსირდეს საგნობრივ (ქიმიის) კურიკულუმში; |
| *ინდიკატორი* 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; | **უცხო ენა-** სკოლამ გაწეროს თუ როგორ მოხდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, ვის მიერ განხორციელდება და რა გზით. |
| | | |

***VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## *VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე*

*ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა პირველ მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულებას არ გამოუხატავს თავისი პოზიცია, რადგან სრულად დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## *1. სკოლის ფილოსოფია*

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოთის საჯარო სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მაგრამ ხედვა და მისია არ არის ერთმანეთის შესაბამისი. ამასთან ხედვა არ არის დროში გათვლილი, გაზომვადი, მისიის მიღწევის საშუალოვადიანი (ან გრძალვადიანი) მიზანი. **სკოლას ეძლევა რჩევა ხედვა ჩამოაყალიბოს დროში გათვლილ, გაზომვად და მისიის შესაბამის საშუალოვადიან (ან გრძელვადიან) მიზნად.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული ჰარმონიული და ეფექტური გარემოს შექმნა ხოლო ხედვაში გაცხადებულია, რომ სკოლის ყველა მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს მაღალაკადემიურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურად უსაფრთხო გარემოში. რაც ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, როგორც გარანტი რომ სასკოლო გარემო სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნას უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ, რადგან სკოლა ძალიან მცირეკონტინგეტიანია (სულ 34 მოსწავლე სწავლობს სკოლაში), ამდენად ადვილია მშობლების სკოლაში თავშეყრა და ამის გამო მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი ძირითადად ზეპირი კომუნიკაციით მიმდინარეობდა. სკოლა დოკუმენტურად ვერ ადასტურებს, თუმცა ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით **სკოლას მიეცა რჩევა, რომ მსგავსი შემთხვევები აწარმოოს დოკუმენტები.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია და გაზიარებულია არაფორმალურ გარემოში, ზეპირი კომუნიკაციით, ამდენად სკოლამ ვერ წარმოადგინა გაზიარების მტკიცებულებები მატერიალური სახით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის დასახელება „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებგვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/1764?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 10 ოქტომბრის დირექტორის N47 ბრძანებით. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დაგეგმვა ემყარება მიდგომებს როგორიცაა გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, სოციალური პასუხისმგებლობა. აქედან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2023-2030) და ის გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. ის შედგენილია SWOT ანალიზის საფუძველზე. მასში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიმართულებები, თითოეული მიმართულება ჩაშლილია ამოცანებად, გათვალისწინებულია შესრულების ვადებიც - თითოეული სტრატეგიული მიმართულება განხორციელდება და შესრულდება მისთვის განკუთვნილი პერიოდის დროს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, მაგრამ არ ეფუძნება სტარტეგიულ გეგმას, რადგან განსხვავებული სტრატეგიული მიზნების შესრულებაა ამ გეგმებში აღწერილი. კერძოდ სტრატეგიული გეგმის სტრატეგიული მიზნებია: 1) სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; 2) კვალიფიციური კადრები; 3) არაფორმალური განათლების გაძლიერება; 4) ციფრული ტრანსფორმაცია; 5) საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა; ხოლო ერთწლიანი გეგმაში სტრატეგიული მიზნებია: 1) სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება; 2) სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; 3) სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; 4)ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია; 5) სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულკყოფა, განვითარება და აღჭურვა; 6) სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; 7) უსაფრთხო და ორგანიზაციული გარემოს შექმნა; 8) მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში; 9) მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობა; 10) სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

და გამოყენება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს რომელიც სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავებას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 - 20.12.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი სამუშაო ჯგუფი, **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, თუმცა **ამოცანები არ არის განსაზღვრული.** აქტივობებზე მიწერილია პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები, მაგრამ **შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები არ არის განსაზღვრული**, აღნიშნულის გათვალისწინებით ერთწლიანი გეგმა ვერ აკმაყოფილების ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრო ამოცანები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 - 20.12.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი სამუშაო ჯგუფი, **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წწ.);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის დასახელებაშივე ჩანს, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში ეს მექანიზმი მე-10 მუხლშია აღწერილი. რომლის მიხედვით სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. მონიტორინგის ვადები გაწერილია 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაშიც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

2. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან, მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. ვიზიტის დროს, პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლამ გაზიარების დამადასტურებებელად ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებს გაასაჯაროებს, თუმცა პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლას განხორციელების შეფასება ჯერ არ განუხორციელებია და შესაბამისად გასაჯაროებასაც ვერ წარმოადგინა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება ჯერ არ განუხორციელებია და შესაბამისად, მისი გათვალისწინების მაგალითებსაც შემდგომ დაგეგმვისას ვერ წარმოადგენდა.

**ინდიატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## *3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*

**3.1. პერსონალის მართვა**

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას **"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ"** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. გარდა ამისა სკოლის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია დევს სკოლის ვებგვერდზეც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები აღწერილია სკოლის წესდებაში და ხელშეკრულებებში. ფუნქციები და უფლება/მოვალეობები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის წესდება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები, ღირებულებები, აღწერილია მართვის ციკლი, სტრატეგია. რესურსი და სხვა რეგულაციები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული მხრიდან შეტყობინების წესი. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/ შენაცვლების პრაქტიკის განხორციელებისა, მაგალითად მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების, რომელსაც შემდეგი წესით ახორციელებს: თუ შესაძლებელია გამცდენი მასწავლებლის გაკვეთილის ჩატარება იგივე საგნის მასწავლებლის საშვალებით, მაშინ მოხდება ჩანაცვლება, თუ არა, მაშინ გაცდენილი საგნის მაგივრად ტარდება სხვა საგანი და გამცდენი მასწავლებლის სკოლაში გამოცხადების შემდეგ, მოხდება გაცდენილი საათების ანაზღაურება. თუ გაცდენა ხდება დიდი დროის განმავლობაში, შესაძლებელია მასწავლებელი ჩანაცვლდეს შემცვლელი მასწავლებლით. ასეთივე მიდგომაა არაპედაგოგიური პერსონალის მიმართაც - თუ შესაძლებელია ჩანაცვლება შიდა რესურსით, ჩანაცვლდება, თუ არა და დროებით დასაქმებაა გამოსავალი. თუმცა ეს არ არის რეგულაციის სახით სადმე აღწერილი. სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს არსებული პრაქტიკა. რადგან სკოლა ახორციელებს პრევენციულ და ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას, მაგრამ გაწერილი არ აქვსის რასაც ახორციელებს, **სკოლას ეძლევა რჩევა სკოლის შიდა მარეგულირებელ რომელიმე დოკუმენტში გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.**

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის კონკურსის გამოცხადების წესი, საკონკურსო კომისიის ოქმები და გამოცხადებული ვაკანსია "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისია. ასევე, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღება, ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა სპეცმასწავლებლის ვაკანსიის დოკუმენტები. სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ყველა თანამშრომელთან დადებული აქვს ხელშეკრულება. სკოლის ყველა თანამშრომელზე უნდა იყოს პირადი საქმე გახსნილი თუმცა სკოლის დამლაგებელს, ორ დარჯს და ექთანს არ აქვთ პირადი საქმეები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უკვე არსებულ და გახსნილ პირად საქმეებშიც არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. კერძოდ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები. სკოლას განემარტა, რომ 2020 წლის 1 მაისის შემდეგ, კანონში ცვლილების მომენტიდან, თუ სკოლას გადაგზავნილი აქვს წერილი შსს-ში "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის" რეესტრში შემოწმების მიზნით, ამ პერსონალს აღარ მოეთხოვება ცნობა "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" და მხოლოდ მას შემდეგ მიღებულმა თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ. აღმოჩნდა, რომ სკოლას გაგზავნილი აქვს ასეთი წერილი (იხ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში) და მხოლოდ 7 თანამშრომელია, რომლებმაც აღნიშნული ცნობა უნდა წარმოადგინონ (მათ შორის ორს, ექთანს და დარაჯს, საერთოდ არ აქვს პირადი საქმე). განსხვავებით აღნიშნულისგან "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" არც ერთ თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი, ხოლო „ნასამართლობის შესახებ" ცნობა მხოლოდ ორ მასწავლებელს აქვს წარმოდგენილი. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს „ა) ყველა თანამშრომლის პირადის საქმის გახსნას და ბ) პირადი საქმეებში კანონმდებლობის შეაბამისი ცნობების შეტანას". აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 10.10.2023-30.11.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი დირექტორი და საქმისმწარმოებელი,</u> **<u>შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.</u>**

4. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სტრუქტურა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები". რომელშიც მოცემულია სკოლის სტრუქტურა, იმ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები/სამუშაოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

აღწერილობა, რომლებიც აღწერილი არ არის სკოლის წესდებაში და ასევე აღწერილია იმ პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც არ არის სახელმწიფოსგან განსაზღვრული (მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი ან ინკლუზიურ განათლებასი ჩართული სხვა სპეციალისტი).

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში არის სტრუქტურული რგოლები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. ამასთან ერთად პერსონალის მართვის დოკუმენტშიც არის ჩანაწერი, რომ თანამშრომელთა მოტივაციის გასაზრდელად სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს. რაც შეეხება გამოცდილების გაზიარებას, კათედრის ფარგლებში განსაზღვრულია გამოცდილების გაზიარების აქტივობები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- შსს-ში გაგზავნილი წერილი;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად განახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში მოხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. გარდა ამისა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ დაწესებულება მუდმივად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასო. აქვე აღწერილია შეფასების პრინციპები და მეთოდები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლის თანამშრომელთაგან მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა მოხდება, გაკვეთილზე დასწრებით, ამასთანავე მოხდება პერსონალის შეფასებაც ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით. ამავე დოკუმენტში გაწერილია, რომ თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება მოხდება განვითარების დაგეგმვის საფუძველზე, რომელთაგან სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს განვითარებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოსული სერვისებით. სკოლა აცხადებს, რომ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და ბიუჯეტი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, სკოლა გეგმავს პერსონალის შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას, ასევე სამოქმედო გეგმაში განსაზღვრავს პროფესიული საჭიროებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

აქტივობებს და ბიუჯეტს. ყოველივე ეს სკოლის მიერ ხელშემწყობ გარემოებებს მიეკუთვნება, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის, პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლას ჯერ არ განუხორციელებია აღწერილი აქტივობები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, რომელშიც აღნიშნულია: იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი. ამისათვის სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ამასთან ერთად, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია ადაპტაციის პროცესები, აქტივობები და პასუხისმგებელი პირები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 20, პ. 6) გაცხადებული აქვს, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. წახალისების კონკრეტული აქტივობები ვერ იქნა წარმოდგენილი პირველადი ავტორიზაციის გამო.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების რაიმე ციკლი, რომელიც ხარისხის განვითარებას უზრუნველყოფდა. თუმცა ცალკეული

პროცესები ექვემდებარება ამ ციკლის მოქმედებას. მაგალითად დაგეგმილია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება მონიტორინგი და შეფასება და გადასინჯვა და რევიზია. ამასთან დირექტორმა ისაუბრა, რომ სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებს გეგმავენ, ახორციელებენ და შემდეგ, მონიტორინგის საფუძველზე ხდება მათი გადახედვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას იდენტიფიცირებული აქვს სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა დოკუმენტებში, სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს ძირითად საქმიანობას, სკოლის წესდებაში და შინაგანაწესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მოვალეობებით აღწერილია პროცესები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები;

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით გაცხადებულია, რომ სკოლაში განცხადებები და საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანინიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომლის პირველი თავის, მე-6 მუხლში მოცემულია მოსწავლის ან მისი მშობლის მხრიდან კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების თავისებურებები; მეორე თავის მე-4 მუხლში მოცემულია სკოლის პერსონალის მიერ გასაჩივრების თავისებურებები; აქვე მოცემულია სამეურვეო საბჭოსთვის მიმართვის ფორმა. გარდა ამისა სკოლას საავტორიზაციო დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი აქვს საჩივრის ფორმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N2-202 ბრძანებით „ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის" შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლას განზრახული აქვს სასკოლო საზოგადოების მართვის პროცესებში ჩართვის მიზნით გამოიყენოს სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც ვიზიტის პერიოდისთვის შექმნის პროცესშია. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას საკოლა ახორციელებს ასევე სასკოლო საინფორმაციო დაფის საშუალებით, რომელზეც სკოლის დოკუმენტაციაა განთავსებული, მათ შორის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სკოლამ ვერ წარმოადგინა „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, რომელიც „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით **შეთანხმებული უნდა იყოს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან.**

   სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N156, 17.07.2023, რომლის მიხედვით სკოლას დაუდგინდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო. დასკვნაში შესრულების ვადები არ იყო მითითებული.

   სკოლას ჰყავს ექთანი და აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექთანი თავის კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ჟურნალებს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილი დანართების შესაბამისად. სკოლას ეძლევა რჩევა ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის“ მე-2 მუხლის რეკომენდაციის შესაბამისად, მოსწავლეთა რაოდენობის გამო (50-დან 100-მდე ჩათვლით) იზრუნოს ექიმის აყვანაზე,

   სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“, რომელშიც განსაზღვრულია უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები და აღწერილია სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები, წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა, საგანგებო შტაბი და შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში რეაგირების განხორციელება. დასაქმებულთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **სკოლას იძლევა რჩევა აიყვანის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სკოლას ეთხოვა, წარმოედგინა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნა თუმცა, **სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ექსპლოატაციის შესახებ დასკვნა,** მაგრამ წარმოადგინა რეაბილიტაციის დასაწყისში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომლის საფუძველზეც ნებართვა გაიცა, რომ არსებული შენობისა და მისი ფუნდამენტის შესწავლის შედეგად შესაძლებელი იყო პროექტით განსაზღვრული რეკონსტრუქციული სამუშაოების ჩატარება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს: ა) შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას; ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, დამტკიცებას და შეთანხმებას უფლებამოსილ სამსახურთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 8.11.2023 - 30.12.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

2. სკოლა იცავს და ახორციელებს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამ წესის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია შექმნის ბრძანება, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ამ წესის შესაბამისად უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამისილი პირი. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით და შენობის შიდა და გარე პერიმეტრი თითქმის სრულად (კიბეების ნაწილის გარდა) კონტროლდება კამერებით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს: ა) შენობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას; ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, დამტკიცებას და შეთანხმებას უფლებამოსილ სამსახურთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 8.11.2023 - 30.12.2023, მითითებულია

ადამიანური რესურსი დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს: ა) შენობის შიდა პერიმეტრის კიბის უჯრედების აღჭურვას ვიდეოსათვალთვალო კამერებით. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 1.11.2023 - 30.12.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

3. “ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”, ბრძანების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა.გარდა ამისა, ამავე გარემოს შექმნას უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ზემონახსენები ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც ასახულია სკოლის შენობის ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების მოთხოვნები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები დამტკიცების შესახებ“, ამავე წესის შესაბამისად ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე

პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით წესი ვრცელდება სკოლის მიერ მოსწავლეთა მასწავლებელთა, სხვა დასაქმებულთა და მშობელთა  მონაცემების დამუშავების პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. რომელშიც მე-10 მუხლში აღწერილია ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც შეიძლება ჩაითვალოს სკოლის მხრიდან ინფორმაციის დაცვის აქტივობად. ამ დოკუმენტში, ამის გარდა მოკლედ აღწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. ასეთი მექანიზმები სკოლას ცალკე დოკუმენტებად აქვს დამტკიცებული, რომლებშიც უფრო ფართოდ არის აღწერილი ანალოგიური რეგულაციები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული**

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელთა მოღვაწეობის ძირითადი მიზანი ადამიანებისა და სკოლაში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ამ მიზნით მრჩეველთა საბჭო თავიანთ სხდომებზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დირექტორს, რეკომენდაციები დგინდება პერიოდული შეფასების  საფუძველზე და გაცემული რეკომენდაციები მიმართულია უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N156, 17.07.2023
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამისილი პირის დანიშვნის ბრძანება;
- ექთნის ხელშეკრულება;
- სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლამ, შენობის ფლობის დამადასტურებლად, წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 60.02.31.013), მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა მოსარგებლეა არსებობის ვადით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართით 4700.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: – N1, სკოლის შენობა ორ სართულიანი, განაშენიანების ფართი 411 კვ.მ. ასევე N2, N3, N4 და N5. აღნიშნული ამონაწერის ბოლო განახლების თარიღია 19.11.2013. ამონაწერი არ ასახავს რეალობას. მასში N2 შენობად მოხსენიებულია საცურაო აუზი, რომელიც რეალურად აღარ არსებობს და მის ადგილას ახლა ღია სტადიონია მოწყობილი. სკოლის შენობას 2019 წელს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ამონაწერი რეაბილიტაციამდელ მდგომარეობას ასახავს. შენობა რეაბილიტაციის შემდეგ ჩაბარდა 2022 წელს. **სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს ამონაწერი.**
   სკოლის შენობაში სულ 9 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის ლაბორატორია, საკონფერენციო/სააქტო ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ადმინისტრაციის ოთახი, სველი წერტილების ფლიგელი. კომპიუტერული კლასი ინტეგრირებულია ერთ-ერთ მცირერიცხოვან კლასთან. სკოლა თავადაც მცირეკონტინგეტიანია. მასში სულ 34 მოსწავლე სწავლობს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის დებულება, რომელშიც მოცემულია ისტ ლაბორატორიის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის, ღია სპორტული მოედნის სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი დასამუშავებელია საბიბლიოთეკო წესით (არ აქვს სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები) სკოლას შტატით არ ჰყავს ბიბლიოთეკარი და მის მოვალეობას ასრულებს საქმისმწარმოებელი (ანაზღაურების გარეშე). **სკოლას ეძლევა რჩევა დაამუშაოს წიგნები და აღრიცხოს საბიბლიოთეკო წესით**.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსები, გარდა ამისა, მოწყობილია ლიფტი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი და შესაბამისი რესურსით აღჭურვილი რესურსოთახი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ერთნაირად და თანაბრად. ამასთან, არის ყველა პირობა იმისთვის, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

5. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკა. ლაბორატორიაში რეაბილიტაციის დროს დამონტაჟებული იქნა საჭიროზე მეტი რაოდენობის (12 ერთეული) ონკანები ნიჟარით, რომლებიც ერთმანეთთან მიჯრითაა მიდგმული და ორ 6 ნიჟარიან ჯგუფს წარმოადგენენ საკლასო ოთახის შუაგულში, ისე, რომ მხოლოდ 6 მოსწავლის მერხის დადგმაა დარჩენილ სივრცეში შესაძლებელი (პრაქტიკულად ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასიც 6 მოსწავლიანია). დირექტორმა და საბუნებისმეტყველო მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ლაბორატორიის სივრცეში ამდენი ნიჟარა მოუხერხებელს ხდის ლაბორატორიას გამოყენებისთვის. ლაბორატორიაში არის ამწოვი სისტემაც, თუმცა ის ჭერშია ჩამონტაჟებული. არის ბუნებრივი განათება/განიავების საშუალებაც, ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის ლაბორატორიაში ოთახი ცალკე არაა გამოყოფილი. სკოლას აქვს მცირე რაოდენობის ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც შევსებას საჭიროებს. სკოლის დირექტორმაც აღნიშნა, რომ ონკანების ასეთი განლაგება ხელს უშლის ლაბორატორიის რაციონალურად გამოყენებას. **სკოლას ეძლევა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას გაუკეთოს რეკონსტრუქციის რომ შეძლონ პრაქტიკულად უფრო კომფორტულად გამოიყენონ.** გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი, რომელიც ინტეგრირებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახთან. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ვიზიტის დროს 1 კომპიუტერი იყო, საჭიროების შემთხვევაში დაამატებენ ხოლმე ლეპტოპს (სკოლაში მცირერიცხოვანი კლასებია, საშუალოს 3-4 მოსწავლე). კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის შემთხვევაში, ის კლასი რომელიც კომპიუტერულ ლაბორატორიაშია მიდის მოსული კლასის საკლასო ოთახში ; პირველკლასელ მოსწავლეებს გადაეცემათ ბუკები. სკოლას არ აქვს სპორტის დარბაზი, მაგრამ აქვს ხელოვნურსაფარიანი კარგად მოწყობილი სტადიონი. სკოლის დერეფანში დგას ჩოგბურთის მაგიდა, რომელთსაც იყენებენ ცუდი ამინდის პირობებში. სკოლის ბიბლიოთეკაში არის კურიკულუმით განსაზღვრული სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატრული ლიტერატურა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: 60.02.31.013;
- შენობის რეკონსტრუქციის დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურს

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლაში არის 5 კომპიუტერი და 8 ლეპტოპი, 5 პროექტორი, პრინტერები, ქსეროქსები 5 ერთეული. ხელმისაწვდომია ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის. მატერიალური რესურსების სარგებლობის წესში ჩაწერილია ისტ ლაბორატორიის სარგებლობის წესიც, რომლის მიხედვით განსაზღვრულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობები და ლაბორატორიით სარგებლობის წესი და სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ციფრული ტრანსფორმაცია, რომელიც სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს აღწერს. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ციფრული ტრანსფორმაცია;
- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ციფრული განვითარების გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს “საქმისწარმოების წესი”, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 10 ოქტომბერს N38 ბრძანებით. სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტ: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლების დაჯგუფებულია მოსწავლეთა და ზოგად/პედაგოგთა ბრძანებებად. საქმისწარმოების წესი ვიზიტის მეორე დღეს დაამტკიცა სკოლამ სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მევნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო echool.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში.სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით;
- სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიშით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც, სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს

მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სკოლის საინფორმაციო დაფა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის ან/და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის შედარებით

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას ძირითადად ახორციელებს ზეპირი კომუნიკაციით, რადგან სკოლა ძალიან მცირეკონტინგეტიანია, თუმცა უფიციალური ურთიერთობისთვის იყენებს ელექტრონული ჟურნალს, ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, და მიღებულ უკუკავშირს იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ახალი შექმნილია და ეტაპობრივად ახლდება ინფორმაციები. ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებგვერდია: https://skolebi.emis.ge/schools/1764?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

%20%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

- ელექტრონული ჟურნალი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტით შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში გაწერილი იმ აქტივობების განხორციელება, რომლისთვისაც სკოლის ფინანსებია საჭირო (ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი გარემოს მოწყობა, სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, კეთილმოწყობილი სკოლის მდგომარეობის შენარჩუნება). არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების სეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## *4. მოსწავლეთა მხარდაჭერა*

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს „მოსწავლის, მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დოკუმენტის მიხედვით სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, სარგებლობენ უფლებებით, რომელიც გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით. მათ შორისაა გამოხატვის, რწმენის, შეკრების და აკადემიური თავისუფლება. ასევე პირადი საიდუმლების უფლება, უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია, სასკოლო რესურსებზე წვდომის უფლება, სამართლიანი მოპყრობის უფლება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია დისციპლინის საკითხები, მათ შორის გასაჩივრების ეფექტური სისტემაცაა. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ერთ-ერთი ფიგურანტები არიან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. „მოსწავლის, მისი მშობლი/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებებისა დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“, რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლის მხარემ გვაჩვენა და ვიზიტის დროს გადმოაგზავნა კიდეც მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასადები ხელშეკრულების ნიმუში და გააკეთა განაცხადი, რომ მომავალ სასწავლო წელსაც დაიდება ხელშეკრულება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/ მის კაანონიერ წარმომადგენელთან

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფლიებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, მისი მშობლი/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებებისა დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა საჯარო სამართლი იურიდიული პირია, ამდენად ის განუხრელად ახორციელებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების, მობილობის და საფეხურის დაძლევის რეგულაციებს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

   მოსწავლის ჩარიცხვას და მობილობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის არ უშვებს წესიდან გადახვევას კონკრეტულად საჯარო სკოლის მიერ.

   სკოლა მობილობას ახორციელებს - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების შესაბამისად; ამავე წესის ბოლოს მითითებულია, წინამდებარე წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი (მუხლი 4).

   საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის დაძლევის წესისა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმებს - მინისტრის მიერ დამტკიცებულ რეგულაციებს. სკოლამ წარმოადგინა თითოეული აქტივობის შესაბამისი ბრძანებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსააზღვრული მოსწავლეთა დამატებითი მომსახურეობა - მხატრული კითხვის წრის სახით. წრის შექმნის ინიციატორია მშობელი (ესეც ზეპირი კომუნიკაციით), რომელმაც წრის შექმნის თხოვნით მიმართა სკოლის დირექტორს. ინფორმაცია სასკოლო გეგმაშია, რომელიც საჯაროა და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას. ასევე სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, რომელზეც გამოკრული ინფორმაცია განახლებადია. ვიზიტის პერიოდში სკოლას ახალი შექმნილი ვებგვერდი ჰქონდა და მომავალში აპირებს ვებვერდზეც განათავსოს ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებგვერდი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დამლევის შესახებ;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დირექტორის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დამლევის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაწერილია მოსწავლეთა ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები, გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ეს ორივე წესი ერთმანეთს ავსებს და წარმოადგენს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლამ ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას გააცნო ექსპერტებს მომავალი პირველკლასელების მიღების დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის დროსაც მომავალ მოსწავლეებს, მშობლებთან ერთად მოიწვევენ სკოლაში, გააცნობენ გარემოს და მაგიდებთან დაახვედრებენ საჩუქრებს. პირველკლასელთა მიერ სკოლის გაცნობის ამსახველი დოკუმენტაცია სოციალურ ქსელშიც დევს. გარდა ამისა ადაპტაციის და ტრანზიციის წესის არსებობა არის ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა სკოლას დაგეგმილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა სკოლამ წარმოადგინა ინტერვენციის გეგმა, რომელიც დაწყებით საფეხურზე მოსწავლის მხარდამჭერ აქტივობათა გეგმას წარმოადგენს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები, სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს. მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში მოქმედებს მხატვრული კითხვის წრე, აპირებენ ფიზიკის წრის ამოქმედებას. ორივე წრეს ხელმძღვანელი სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. უკვე აღინიშნა რომ სკოლის მხატვრული კითხვის წრე ამოქმედდა მოსწავლის მშობლის ინიციატივით/უკუკავშირით. პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორის სრულფასოვნად შემოწმება ვერ ხერხდება, რადგან გასული პერიოდის ამსახველი აქტივობები უნდა შეფასდეს, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი და მშობელთან კომუნიკაციის წესი, რომელი დოკუმენტებიც არის საკომუნიკაციო საშუალება უკუკავშირის წესის დასამკვიდრებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- მშობელთან კომუნიკაციის წესი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, საბაზო საფეხურზე სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებლები ესაუბრებიან ხოლმე მოსწავლეებს პროფესიული სასწავლებლის შესახებ. სკოლა რადგან საბაზოა სხვა არჩევანი არც აქვთ. მასწავლებელი დაეხმარა პროფესიულ სასწავლებელში დარეგისტრირებაში. ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრა მებაღეობაზე და დაარგვევინა ყვავილები სკოლის ეზოში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა საბაზოა, მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელება უწევთ ასპინძის სკოლაში, რადგან სოფლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე არცაა სხვა სკოლა, რომელიც საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს, ამის შესახებ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში მაინც აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას ასპინძის სკოლისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. პირველადი ავტორიზაციის გამო სკოლას არ ჰქონდა ასეთი უკუკავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა სკოლის დირექტორის თქმით, შეიმუშავებენ კითხვარებს, რომელიც სასკოლო საზოგადოებისგან მომსახურეობის შეფასებას მოახდენენ, რომლის ანალიზის შედეგებს გაითვალისწინებენ მომავალი წლის მომსახურეობის დაგეგმვის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო საათის გეგმა.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, ის შეფასებულია სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლის მშობელმა, დამრიგებელმა, საგნის მასწავლებლებმა და სპეცმასწავლებელმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ-ის შექმნის პროცედურები, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს. დასკვნაში აღნიშნული ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

მომავალი ინდგეგმის შემუშავებისას, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის და განვითარებისთვის გამოიყენებს წინარე გამოცდილებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მარეგულირებლიდან ნებართვას რომ საჭიროებს ასეთი მომსახურეობებიდან სკოლას მხოლოდ ტრანსპორტის მომსახურეობა აქვს, რომელიც რამდენიმე მიმართულებიდან (სოფლის სხვადასხვა უბნიდან და მეზობელი სოფლიდან) მოსწავლეთა ტრანსპორტირებას ახორციელებს. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ მხატვრული კითხვის წრის მომსახურეობას. წრე ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობა - მხატვრული კითხვის წრე ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ტრანსპორტის ტაბელი
- რესურსცენტრის წერილი საგნის „სამხედრო საქმე“ სამინისროს პროგრამაში ჩართვის შესახებ;
- იჯარის დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1 | ☑ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| კურიკულუმის შემუშავება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## *2. სასკოლო კურიკულუმი*

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N34. 09.10.2023წ.) დამტკიცებულია სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნები, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები. მასწავლებლებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას, მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით ახდენენ კურიკულუმის დაგეგმვას და განვითარებას.

დაწყებით საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი

(კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები,დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.
დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც განაწილებულ კათედრის ფარგლებში, ასევე სხვა საგნობრივ კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. რამდენადაც სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი , მასწავლებელებს არ უჭირთ მშობლებთან კომუნიკაცია და მნიშვნელოვანი საკითხების გასაცნობად ძირითადად იყენებენ პირისპირ შეხვედრებს. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება,საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულიაგრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში ვიზიტისას, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების შეხვედრები ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარებისა და კურიკულუმის დახვეწის მიზნით. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ . სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესები, უშუალოდ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე აჩვენებს თანამშრომლობას და გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია მიმდინარე სასაწავლო წლისათვის განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას.

მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თვალსაჩინოა დადებითი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ნათლად ჩანს თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლოსაზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა.

სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექტორი. სკოლას აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული, პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2023–2024 სასწავლო წლის კურიკულუმი. **ინდიკატორი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადამრიგებლო პროგრამები. სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ მიმდინარე სასწავლო წლიდან მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცის გააქიურება და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები , სადედანაც ჩანს, რომ სკოლა იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება , რაც სკოლისათვის მოსახერხებელია ( **სკოლა მცირე კონტიგენტიანია**). ასევე იყენებენ ელექტრონულად დაგზავნილ კომპლექსური დავალების ბარათებს. სამომავლოდ აპირებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის ოქმები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთა ბარათები ;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

   დაწყებითი საფეხურის საგნების მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, ორიენტირებულია მოსწავლის წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებულად. მასწავლებლებს სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

კომპლექსური დავალებებში გაწერილი პირობებით მაწსავლებელები, აღიარებენ მოსწავლეებს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს. კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამომივიდა კარგად, რატომ? რა იყო ცოდნის ის გამოცდილება, რამაც წარმატება მომიტანა? ამ პროცესებს ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიც.

მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კერძოდ, სავალდებულო თემები საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაშია, კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, შუალედური სასწავლო მიზნები ძირითადად მუშავდება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების მიხედვით.

სპორტის საგნობრივი კურიკულუმში, მასწავლებელს პრაქტიკულ აქტივობებთან ერთად, გათვალისწინებული აქვს თეორიული საკითხების შესწავლა. კურიკულუმით განსაზღვრული სპორტის სახეობის პარაქტიკული ელემენტების შესწავლასთან ერთად , ხდება აღნიშნული სახეობის სპორტის ისტორის შესწავლა. ასევე კურიკულუმში გათვალისწინებული პრეზენტაციების მიწოდება ჯანსაღი ცხოვრების წესზე; ოლიმპიზმის ისტორიაზე და სხვა საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, სპორტის კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების მიღწევა შესაძლებელი ხდება (პრაქტიკული აქტივობები) გარე სპორტული მოედნით და (თეორიული საკითხების ) საკლასო გარემოში და სკოლაში არსებულ თავისუფალ სივრცეში.

ტექნოლოგიების და გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში არ იყო ასახული სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. გასაუბრების დროს მასწავლებლებს მიეცათ რჩევა გადაემუშავებინათ კურიკულუმი, შეეტანათ ცვლილებები, შეექმნათ მატრიცები, გამოეყენებინათ მრავალფეროვანი რესურსი, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო მორგებული კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინოს რჩევა, რათა კურიკულუმები შეესაბამებოდეს ესგ-ის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. გასაუბრების შემდეგ დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნისას მასწავლებელმა წარმოადგინა კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები და შესაბამისი აქტივობები კლასების მიხედვით რომლებიც ყველა სამიზნე ცნებებს ფარავს თემის ფარგლებში. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების (მატერიალური, ციფრული) ჩამონათვალით.

**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო სასკოლო გეგმაში, მოსწავლეთა შეფასებისა (შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ცნებები, კომპლექსური დავალებების იდეები, შერჩეული საინტერესო რესურსები, თავისი ბუნებით ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვთარებას. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია (ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას. არაფორმალური განათლების მიმართულებით კათედრების მიერ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს ესგ–ს მიზნების მიღწევას და გლობალურ–ფუნქციურ უნარების ეფექტურად განავითარებას მოსწავლეებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს.

კურიკულუმებში ასახულია მოსწავლეზე მორგებული მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე.

გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის არჩევანის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ,

დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში.
დავალება აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლებს საბოლოო პროდუქტის არჩევანის საშუალება აქვთ. (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს ძირითადად განმავითარებელ შეფასებას (I-IV კლ), ხოლო განმსაზღვრელი შეფასება (V მეორესემესტრი და–VI კლ). განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე.

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად იყენებს პირველ მოდელს ( საკლასო, საშინაო , შემაჯამებელი კომპონენტები), რაც სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამის კრიტერიუმებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ესგ მიხედვით და ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ შეფასებისას ორიენტირებულნი იყოს გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. გასაუბრების დროს მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ მოსწავლის კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარმოდგენის შემდგომ გამოიყენოს სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა მასწავლებელმა) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მისცა მოსწავლეს). აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს იმისათვის ,რომ კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად იქნას გამოყენებული განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები მესამე თაობის ესგ დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწეულ შედეგებს და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს. სკოლა გეგმავს მონიტორინგის პროცესის განხორციელებას. სამუშაო შეხვედრებზე განიხილება მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, მოსწავლეთა შეფასებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებები) და კათედრების წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდენ და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეადგინეს ახალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს ,რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.სასკოლო სასწავლო გეგმა;

• სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

• დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

• შეფასების რუბრიკები;

• კათედრის პორტფოლიო;

• კათედრის სამოქმედო გეგმა;

..................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია მსჯელობა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე.

ექსპერტები კათედრების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში ხედავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების, საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებული, მასწავლებლები საგნობრივ სტანდარტს ეყრდნობიან და მისი ინდიკატორების მისაღწევად გეგმავენ კომპლექსური დავალებების გამოყენებას. კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. რაც მათ გამოცდილებაზე მიუთითებს. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და აქტივობები– მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს, ახალი ცოდნის წინარე ცოდნის (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ასევე ვლინდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე.

საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ამ მიმართულებით მასწავლებელს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, საშუალებას აძლევთ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია, ეს კი ცოდნის კონსტრუირების გზაა.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დაშენება; დაწყებითი საფეხურის კათედრებზე სკოლას ისე აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ შესაძლებელია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელება. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე, მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს შედარება, გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით ირკვევა რომ , ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით მოსწავლე განამტკიცებს ძველ ცოდნას და უფრო იოლად შეიმეცნებს ახალს. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საბაზო საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების განხორციელების პრატიკა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას). კათედრა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითრეგულირებითა და ავტონომიურობით მეტი შეძლონ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);.**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობის, ასევე, პირისპირ ინტერვიუს დროს მიერ დავალებაზე მუშაობის პროცესის აღწერის, მოსწავლეთა პროდუქტების (მოდელი, პროექტი, მაკეტი,ფოტო) მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კომპლექსურ დავალებაზე ან კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დაწყებით საფეხურის კათედრებზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. პედაგოგთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილია პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას და იყენებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად. შექმნის პროცესში კი ახდენს თემის ფარგლებში ცოდნის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმაში , ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით საუბრობს . სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის (გვ. 53) თანახმად, მასწავლებლები მოსწავლეებს ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთადაკავშირებასა და ორგანიზებაში, რათა გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ , მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. (მათემატიკა - ისტი, გეოგრაფია-სპორტი; ქართული -მუსიკა). დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები სწავლებისას აცნობიერებენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და

კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კათედრაზე ხელს უწყობს დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ექსპერტები ასკვნიან, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.სასკოლო სასწავლო გეგმა;

.სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

• დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

• შეფასების რუბრიკები;

• კათედრის პორტფოლიო;

• კათედრის სამოქმედო გეგმა;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მასწავლებლებს გააზრებული აქვს, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. მასწავლებლები არჩევენ სასწავლო თემებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში რეკომენდირებული თემების გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს თითოეული კლასისთვის. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავს. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა , სადაც დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, რომლებიც დაეხმარება სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე ტექნოლოგიების ადაპტირებაში. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი აქტივობები ხელს შეუწყობს კიბერსივრცეში უსაფრთხო ქცევის ნორმების შესწავლას; პირადი ინფორმაციის დაცვას ; ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესების დამკვიდრებას და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

ექსპერტების დასკვნით დაწყებით საფეხურზე ხორციელდება ,როგორც განმსაზღვრელი , ასევე განმავითარებელი შეფასება. კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, ჰოლისტური შეფასების მნიშნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა კათედრის მიერ შემუშავებული განმავითერებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა, რომ მასწავლებლებს აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარების , დახვეწის თვალსაზრისით. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდამჭერი და მეტად ეფექტური სისტემის დანერგვა. მასწავლებლებს აქვს გამოცდილება შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის გამოყენების, რომლებსაც ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

გამოიყენებსენ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლის მიერ შემუშავებულ 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრებზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემში დაინტერესებული პირების მიერ. მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხს დამკვიდრებაში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან.

შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო - სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. (სასკოლო სასწავლო გეგმა-გვ.24) შეფასების კრიტერიუმების შემუშავება თანხმდება კათედრებზე, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტაცია. დაკვირვების შედეგად მასწავლებლის მიერ მუშავდება შეფასების რუბრიკები და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა რეკომენდაცია. სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდელობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობოთ ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების საშუალებით უზრუნველლყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო-სასწავლო გეგმა;

• სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;˜

• დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;

• შეფასების რუბრიკები;

• კათედრის პორტფოლიო: კათედრის სამოქმედო გეგმა;

• სასკოლო პროექტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

.მოსწავლეთა პირადი საქმეები

• მასწვლებლებთან გასაუბრება.

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის სტრატეგიული გეგმებში, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და ღირებულებები ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოდ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, ერთობრივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებში და ინტეგრირებულ გაკვეთილებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია საათობრივ ბადეში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. სკოლაში სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებს სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ დავალებებს, ელექტრონულ რესურსებს, რომელიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ შედეგებს და ნაკლოვანებებს რაც აღმოაჩინეს სწავლების პროცესში. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს, ატარებენ შეხვედრებს და აკეთებენ საერთო დასკვნებს დაგეგმილი და განხორციელებული კურიკულუმების ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ტექნოლოგიების მასწავლებელი დახმარებას უწევს სხვა საგნის მასწავლებლებს ელექტრონული რესურსების შექმნისას, რაც გასაუბრებაზეც დადასტურდა. მოსწავლეების ინიციატივით ერთად გეგმავენ და ანხორციელებენ საინტერესო პროექტებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

## 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

როგორც გამოგზავნილი მტკიცებულებებით და გასაუბრებით დგინდება, სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სკოლა სწავლების პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების, განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ჰოლისტური განათლების შესაძლებლობაზე. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. მტკიცებულებებიდან ჩანს და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებლად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავს სასწავლო პროექტების შემუშავებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის საჭიროება და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც ჩანს, როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სადაც პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ, აჯამებენ სხვადასხვა საკითხებს, აფასებენ სასწავლო წელს, თანმშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს აგრეთვე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ხდება მოსწავლეებთან და მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. ჩანს, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შერჩევა, აქტივობების დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. აშკარად ჩანს, რომ სკოლაში კათედრის წევრევრებს შორის არის ურთიერთთანამშრომლობითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

გარემო. კოლეგები დახმარებას უწევენ ერთმანეთს, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო იგრძნობოდა სკოლაში ვიზიტის დროსაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

. სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ისგ;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის პორტფოლიო;
- სასკოლო პროექტები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს საგნობრივი კათედრების მუშაობა და კურიკულუმის დაგეგმვა და მიღებული შედეგების ანალიზი. კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ შედეგებს და კურიკულუმების სისუსტეებს, რაც აღმოაჩინეს სწავლების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლა ითავისებს , რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგს განახორციელებს როგორც ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის, ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტების თუ პრაქტიკის კვლევის საფუძველზე.
აღნიშნული პრაქტიკა გაზიარდება სკოლის ყველა კათედრაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მასწავლებელს აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესში ისე, რომ იგი დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყოს ორიენტირებული და სასურველი შედეგები მიიღოს. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სასკოლო საზოგადოების წევრების მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სკოლის სამომავლო საქმიანობას. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N25. 22.09.2020წ.) აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლაში 2023-2024 წელს აპირებენ გააუმჯობესონ და პრაქტიკაში დანერგონ სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების დადგენა. გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭრიოებები. მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის. იგეგმება მონაცემების დამუშავება კათედრის შეხვედრებზე, გაკეთდება მიღებული შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების ჰოლისტურ სისტემას: კითხვარებს, ინტერვიუებს, თვითშეფასებას და სხვ. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები: კვლევა, დაკვირვება,ინტერვიუ, SWOT ანალიზი. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშა პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობებისგანხორციელებისას.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორცილებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება და ეყრდნობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მრავალფეროვან დავალებებსა და მოსწავლეთა უნარ-ჩვევების შეფასებასა თუ განვითარებას. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, განმავითარებელი შეფასება კი ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე. როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ეყრდნობა თემის ფარგლებში სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება გაწერილია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ექსპერტები მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის, ხდება მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებელი, სხვადასხვა მეთოდს იყენებს ინფორმაციის შესაგროვებლად, მაგალითად: წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები, გამოკითხვა, დაკვირვება, თვითშეფასება, მასწავლებლის რეფლექსიები. აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ. სამომავლოდ გეგმავენ, რომ შეიმუშაონ მონაცემთა შეგროვების უფრო მრავალფეროვანი მეთოდი. სკოლა ამჟამად მონაცემთა შეგროვებას ციფრული ტექნოლოგიით არ აწარმოებს, თუმცა გეგმავს გამოყენებას. ტექნოლოგიების მასწავლებელი აღნიშნავს, რომ Microsoft forms-ის პლატფორმა კარგ შესაძლებლობას იძლევა და სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენებს აღნიშნულ პლატფორმას, რომლის ინსტრუმენტების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

გამოყენებით ხდება ონლაინ კითხვარების დანერგვა თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემების დამუშავების გამარტივების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, საჭიროება. ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა- განხორციელებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შეფასებისას ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი, აკადემიური მიღწევები, ინდივიდუალური საჭიროებები, სოციალური ფაქტორები და აშ. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით (ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები დასხვა) საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი, ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც ნიშნავს, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობენ სასწავლო წლის, სემესტრის შემაჯამებელ სხდომებში და აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

   სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის გაწერილი თუ როგორ უნდა განვითარდეს და როგორ უნდა შემუშავდეს სასკოლო კურიკულუმები. ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნეს წინა წლის გამოცდილებების გაითვალისწინებით. გაითვალისწინეს ის ხარვეზები, რაც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა. ასევე გეგმავენ, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, შემდეგ კი გადამუშავებულ ვერსიას გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას, მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც საკუთარ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებლების გამოცდილებას. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაანალიზება, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. მასწავლებლები გეგმავენ, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

## *2. სასკოლო კურიკულუმი*

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N34. 09.10.2023წ.) დამტკიცებულია სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნები, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები. მასწავლებლებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას, მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით ახდენენ კურიკულუმის დაგეგმვას და განვითარებას.

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები,დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

დოკუმენტების შესწავლისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნობრივ ექსპერტებთან, იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, მსჯელობენ და აწყობენ განხილვას კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც განაწილებულ კათედრის ფარგლებში, ასევე სხვა საგნობრივ კათედრებთანაც. მასწავლებლები წინასწარ უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს მშობლებს, მათთან კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. რამდენადაც სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი , მასწავლებელებს არ უჭირთ მშობლებთან კომუნიკაცია და მნიშვნელოვანი საკითხების გასაცნობად ძირითადად იყენებენ პირისპირ შეხვედრებს. მასწავლებლების მიერ იქმნება მატრიცის ჩარჩო, ამ ჩარჩოთი განისაზღვრება სამიზნე ცნება, ქვეცნება,საკითხი, კომპლექსური დავალების პირობა, სასწავლო რესურსები. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლის დირექციას. იგი საგნის მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლების) ინფორმირებულობას, რომლებიც თავის მხრივ, აქტიურად ჩართულნი არიან პროცესში. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტები და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს,

გამოცდილებებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში ვიზიტისას, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მასწავლებლების შეხვედრები ინფორმაციის, პირადი გამოცდილების გაზიარებისა და კურიკულუმის დახვეწის მიზნით. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კურიკულუმებში სასწავლო საკითხები, შეადგინეს კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხების თემატურად დაყოფა, თემების შესწავლის დაგეგმვა მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ . სკოლა მისია-ხედვა- ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, ცდილობს გამოკვეთოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და დაუკავშიროს ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესები, უშუალოდ საბაზო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში ამოიცნობა, რომლებსაც თან ახლავს კომპლექსური დავალებები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები და სხვა. ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის გეგმავენ სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. მასწავლებელი სასწავლო გეგმის მიზანმიმართულად დაგეგმვისას მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. სკოლაში არსებობს დამრიგებლის გეგმები, კათედრის სამოქმედო გეგმების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებს და წინადადებებს. მაგალითისათვის, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა კათედრის მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია **ეკოკლუბის** შექმნა, რითაც საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები გეგმავენ, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე აჩვენებს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.
სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია მიმდინარე სასაწავლო წლისათვის განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების იდეები, სამიზნე ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის (გვ.49) თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავდა სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში თვალსაჩინოა დადებითი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ნათლად ჩანს თუ რა სახით ერთვება ამ პროცესში სასკოლოსაზოგადოების თითოეული წევრი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია კათედრის უკლებლივ ყველა პედაგოგი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შექმნა.

სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექტორი. სკოლას აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული, პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2023–2024 სასწავლო წლის კურიკულუმი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.** სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადამრიგებლო პროგრამები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

საბაზო საფეხურის მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ მიმდინარე სასწავლო წლიდან მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცის გააქტიურება და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. გეგმავენ მიზნობრივი შეხვედრები მოაწყონ მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესებში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმის კალენდარი, არაფორმალური განათლების განვითარების იდეები , სადედანაც ჩანს, რომ სკოლა იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებებს, რომ სასკოლო კურიკულუმი გახადოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება , რაც სკოლისათვის მოსახერხებელია ( სკოლა მცირე კონტიგენტიანია). ასევე იყენებენ ელექტრონულად დაგზავნილ კომპლექსური დავალების ბარათებს. სამომავლოდ აპირებენ ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში ტარდება საერთო მშობელთა კრება მათი ინფორმირების მიზნით; კლასის დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას აქვს სოციალური გვერდი Facebook-ზე https://www.facebook.com/otissajaroskola.otaota, სადაც ქვეყნდება სხვადასხვა, სასკოლო საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვანი ინფორმაცია; სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე (მე-2 სართული) განთავსებულია საინფორმაციო სივრცე; განვითარების პროცესშია სკოლის ოფიციალური ვებგვერდი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი;
- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის ოქმები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- „მშობელთა ბარათები ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2 .კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1..შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

1.საბაზო საფეხურის საგნების მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებების იდეები, ორიენტირებულია მოსწავლის წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. კურიკულუმში გაწერილი საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე ორიენტირებულად. მასწავლებლებს სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები.

კომპლექსური დავალებების პირობები, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს. კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამომივიდა კარგად, რატომ? რა იყო ცოდნის ის გამოცდილება, რამაც წარმატება მომიტანა? ამ პროცესებს ადასტურებს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებიც.

მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კერძოდ, სავალდებულო თემები საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაშია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, შუალედური სასწავლო მიზნები ძირითადად მუშავდება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების მიხედვით. ზოგიერთი საგნის საგნობრივ კურიკულუმში არ იყო ასახული სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. გასაუბრების დროს მასწავლებლებს მიეცათ რჩევა გადაემუშავებინათ კურიკულუმი, შეეტანათ ცვლილებები, შეექმნათ მატრიცები, გამოეყენებინათ მრავალფეროვანი რესურსი, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო მორგებული კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინოს რჩევა, რათა კურიკულუმები შეესაბამებოდეს ესგ-ის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. გასაუბრების შემდეგ დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნისას მასწავლებელმა წარმოადგინა კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები და შესაბამისი აქტივობები კლასების მიხედვით რომლებიც ყველა სამიზნე ცნებებს ფარავს თემის ფარგლებში. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების (მატერიალური, ციფრული) ჩამონათვალით.

სპორტის საგნობრივი კურიკულუმში, მასწავლებელს პრაქტიკულ აქტივობებთან ერთად, გათვალისწინებული აქვს თეორიული საკითხების შესწავლა. კურიკულუმით განსაზღვრული სპორტის სახეობის პარაქტიკული ელემენტების შესწავლასთან ერთად , ხდება აღნიშნული სახეობის სპორტის ისტორის შესწავლა. ასევე კურიკულუმში გათვალისწინებული პრეზენტაციების მიწოდება ჯანსაღი ცხოვრების წესზე; ოლიმპიზმის ისტორიაზე და სხვა საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, სპორტის კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების მიღწევა შესაძლებელი ხდება (პრაქტიკული აქტივობები) გარე სპორტული მოედნით და (თეორიული საკითხების ) საკლასო გარემოში და სკოლაში არსებულ თავისუფალ სივრცეში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში, სასწავლო სასკოლო გეგმაში, მოსწავლეთა შეფასებისა (შეფასების რუბრიკების სხვადასხვა ნიმუშებში) ამსახველ დოკუმენტებში აღიწერება გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გაზიარებულია შედეგები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ცნებები, კომპლექსური დავალებების იდეები, შერჩეული საინტერესო რესურსები, თავისი ბუნებით ხელს უწყობს გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობა, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება ( მაგ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია (ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე არაფორმალური განათლების განვითარების ამსახველი მასალები, სხვადასხვა პროექტები), რომელთა შესრულების გამოცდილება და დაგეგმილ ნაწილში ახლის განხორციელების სურვილი აქვს სკოლას. არაფორმალური განათლების მიმართულებით კათედრების მიერ დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს ესგ–ს მიზნების მიღწევას და გლობალურ–ფუნქციურ უნარების ეფექტურად განავითარებას მოსწავლეებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწალო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს.

კურიკულუმებში ასახულია მოსწავლეზე მორგებული მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას. სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე.

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში (გვ. 51) აღნიშნულია, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, იმ მოსწავლისათის ,რომელსაც ამის საჭიროება აქვს.

გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, ასევე გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის არჩევანის შეთავაზებებს და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში.

დავალება აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწავლებს საბოლოო პროდუქტის არჩევანის საშუალება აქვთ. (ესე, პოსტერი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა, სცენარი თუ სხვა.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში, საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ესგ-ის მიზნებთან მიმართებაში და იწერება ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიემართება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისკენ და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, რომელიც არის საორიენტაციო სახის და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოარგოს სასწავლო პროცესში მოსწავლის შეფასებას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტურ უკუკავშირს და ზოგადად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: პოსტტესტებსა თუ პრეტესტებს. თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკებს, ცხრილებს, კითხვარებს, ქვიზებს, ხელის ნიშნებს, სქემებს, გასასვლელ და შესასვლელ ბარათებს და სხვა. სკოლა ასევე იყენებს შეფასების ჰოლისტურ რუბრიკას, კონკრეტული დავალებებისათვის მასწავლებები თავადაც ადგენენ შეფასების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასა და ისევე, როგორც განმსაზღვრელი შეფასება, მორგებულია მეთოდიკურ ორიენტირებზე.

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლა 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად იყენებს პირველ მოდელს (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი), რაც სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამის კრიტერიუმებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ესგ მიხედვით და ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. გასაუბრების დროს მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ მოსწავლის კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარმოდგენის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შემდგომ გამოიყენოს სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, რომელიც შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: მოსწავლის ნამუშევრის აღწერილობა (რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გააკეთა მასწავლებელმა) და განმავითარებელი შეფასება (რა რჩევა მისცა მოსწავლეს). აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის, საგნობრივი კურიკულუმების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ანგარიშის, ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და იმის ანალიზი/შეფასება, თუ რა მეთოდებმა და მიდგომებმა გამოიღეს ეფექტი კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობისას.

კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები მესამე თაობის ესგ დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწეულ შედეგებს და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს. სკოლა გეგმავს მონიტორინგის პროცესის განხორციელებას. სამუშაო შეხვედრებზე განიხილება მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, მოსწავლეთა შეფასებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებები) და კათედრების წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდენ და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეადგინეს ახალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. სკოლას შექმნილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

.სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლის კურიკულუმის განვითარების

მეთოდოლოგია;

• საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

• შეფასების რუბრიკები;

• კათედრის პორტფოლიო;

• კათედრის სამოქმედო გეგმა;

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.................................................................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

### 2.2. კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია მსჯელობა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებული, მასწავლებლები საგნობრივ სტანდარტს ეყრდნობიან და მისი ინდიკატორების მისაღწევად გეგმავენ კომპლექსური დავალებების გამოყენებას. კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. რაც მათ გამოცდილებაზე მიუთითებს. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები.

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დავალებების ბარათები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა. ასევე წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები **(ქართული ენა და ლიტერატურა-,,ლექსი სალი კლდის ვეფხვია, მყვირალი, მაღალხმიანი")** და აქტივობები **(კოკა კოლას თასი -მინი ფეხბურთში)** – მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ამ მიმართულებით მასწავლებელს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებში გამოიწვევს ინტერესს, საშუალებას მისცემს ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია, ეს კი ცოდნის კონსტრუირების ტიპიური მაგალითია.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დაშენება; საბაზო საფეხურის კათედრებზე სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ შსაძლებელია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელება. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით ირკვევა რომ , ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით მოსწავლე განამტკიცებს ძველ ცოდნას და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. ასევე წინარე ცოდნას ეფუძნება საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების განხორციელების პრატიკა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას).

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ იქნა მოსწავლეთა ნამუშევრები (სუნთქვის ორგანოების მოდელი, კატაპულტის მოდელის ფოტო, სხვ,), ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო დავალებების განხორციელების ეტაპები / სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, რომლის ფარგლებში ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად, ექსპერიმენტი - მრავალშრიანი კოქტეილის მომზადება, ამოცანების ამოხსნა, მოდელებზე მუშობა, მოლეკულის ბურთულ-ღეროვანი მოდელი, სხვ.

კათედრები ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა თვითრეგულირებითა და ავტონომიურობით უკეთესი შედეგები აჩვენონ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);.**

საბაზო საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. პედაგოგთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილია პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას და იყენებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად. შექმნის პროცესში კი ახდენს თემის ფარგლებში ცოდნის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერს. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმაში , ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით საუბრობს . სასწავლო პროცესის ცოდნის სამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ , მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას (მათემატიკა - ისტი, მათემატიკა-მუსიკა). საბაზო საფეხურზე სწავლებისას მასწავლებლები აცნობიერებენ , რომ მათ მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და შექმნილი კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები და სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კათედრებზე ხელს უწყობს დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ საგანთა ურთიერთკავშირზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ექსპერტები ასკვნიან, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.სასკოლო სასწავლო გეგმა;

.სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

• საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

• შეფასების რუბრიკები;

• კათედრის პორტფოლიო;

• კათედრის სამოქმედო გეგმა;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მასწავლებლებს გააზრებული აქვს, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. მასწავლებლები არჩევეს სასწავლო თემებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში რეკომენდირებული თემების გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს თითოეული კლასისთვის. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლები სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს, საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავს. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა , სადაც დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, რომლებიც დაეხმარება სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე ტექნოლოგიების ადაპტირებაში. აღნიშნულ

დოკუმენტში გაწერილი აქტივობები ხელს შეუწყობს კიბერსივრცეში უსაფრთხო ქცევის ნორმების შესწავლას; პირადი ინფორმაციის დაცვას ; ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების წესების დამკვიდრებას და რეკომენდაციებს მოიცავს როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

ექსპერტები დასკვნით საბაზო საფეხურზე ხორციელდება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება. კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, ჰოლისტური შეფასების მნიშნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა კათედრის მიერ შემუშავებული განმავითერებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა, რომ მასწავლებლებს აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარების , დახვეწის თვალსაზრისით. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდამჭერი და მეტად ეფექტური სისტემის დანერგვა. მასწავლებლებს აქვს გამოცდილება შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის გამოყენების, რომლებსაც ასევე გამოიყენებსენ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შეფასების დროს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლის მიერ შემუშავებულ 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბარია შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიერ. მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხს დამკვიდრებაში, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა იქნება შესაბამისობაში ესგ-სთან.

შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები

უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლაში შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო - სასწავლო გეგმაში ( 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა. გვ. 24)შეფასების კრიტერიუმების შემუშავება თანხმდება კათედრებზე, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტაცია. დაკვირვების შედეგად მასწავლებლის მიერ მუშავდება შეფასების რუბრიკები და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა რეკომენდაცია. სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდელობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობოთ ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველლყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

წარმოდგენილი დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის სტრატეგიული გეგმებში, რომელშიც მკაფიოდ არის მონიშნული სკოლის მისია და

ღირებულებები ხაზგასმულია სკოლაში სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის პრიორიტეტები: შექმნას მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემო და ხელსაყრელი პირობები თითოეული მათგანის ინტელექტუალური განვითარებისთვის, ინტერესების და მიდრეკილებების გამოვლენისათვის, იზრუნოს მასწავლებლების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, მათ შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, იკვლიოს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო ცხოვრების პრაქტიკით, კერძოდ კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდასწრებაზე გაცემული პროფესიული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობრივი მუშაობით, ერთობრივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებში და ინტეგრირებულ გაკვეთილებში.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სკოლის პრიორიტეტები და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოსწავლეებს აქვთ საგნების არჩევის შესაძლებლობა. საგნობრივი პროგრამები იძლევა მოსწავლეთა პიროვნული ზრდის შესაძლებლობას. სკოლაში სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებს სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ დავალებებს, ელექტრონულ რესურსებს, რომელიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ შედეგებს და ნაკლოვანებებს რაც აღმოაჩინეს სწავლების პროცესში. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს, ატარებენ შეხვედრებს და აკეთებენ საერთო დასკვნებს დაგეგმილი და განხორციელებული კურიკულუმების ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ტექნოლოგიების მასწავლებელი დახმარებას უწევს სხვა საგნის მასწავლებლებს ელექტრონული რესურსების შექმნისას, რაც გასაუბრებაზეც დადასტურდა. მოსწავლეების ინიციატივით ერთად გეგმავენ და ანხორციელებენ საინტერესო პროექტებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

როგორც გამოგზავნილი მტკიცებულებებით და გასაუბრებით დგინდება, სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სკოლა სწავლების პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, მასალებში ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების, განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია ჰოლისტური განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შესაძლებლობაზე. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში. მტკიცებულებებიდან ჩანს და გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებლად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავს სასწავლო პროექტების შემუშავებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის საჭიროება და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რაც ჩანს, როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სადაც პედაგოგები ერთობლივად განიხილავენ, აჯამებენ სხვადასხვა საკითხებს, აფასებენ სასწავლო წელს, თანმშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს აგრეთვე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. ხდება მოსწავლეებთან და მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია, პედაგოგთა შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. ჩანს, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შერჩევა, აქტივობების დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. აშკარად ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთთანამშრომლობითი ურთიერთობები. დახმარებას უწევენ კოლეგებს, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
• საგნობრივი კურიკულუმები;
• შეფასების რუბრიკები;
• ისგ;
• ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
• კათედრის დებულება
• კათედრის პორტფოლიო;
• სასკოლო პროექტები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რასაც ადასტურებს საგნობრივი კათედრების მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვასა და მიღებული შედეგების გაანალიზებაზე. კათედრაზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, კერძოდ პედაგოგები კურიკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მიღებულ შედეგებს და აღიარებენ კურიკულუმების სისუსტეებს, რაც აღმოაჩინეს სწავლების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლა ითავისებს , რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგს განახორციელებს როგორც ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის, ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტების და პრაქტიკის კვლევის საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა გაზიარდება სკოლის ყველა კათედრაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

**2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მასწავლებელს აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესში ისე, რომ იგი დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყოს ორიენტირებული და სასურველი შედეგები მიიღოს. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სასკოლო საზოგადოების წევრების მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებით გეგმავენ სკოლის სამომავლო საქმიანობას. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლაში 2023-2024 წელს აპირებენ გააუმჯობესონ და პრაქტიკაში დანერგონ სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების დადგენა. გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭრიოებები. მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

წლისთვის. იგეგმება მონაცემების დამუშავება კათედრის შეხვედრებზე, გაკეთდება მიღებული შედეგების ანალიზი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი
- შეფასების რუბრიკები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, შეფასების ჰოლისტურ სისტემას: კითხვარებს, ინტერვიუებს, თვითშეფასებას და სხვ. გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების ინსტრუმენტები: კვლევა, დაკვირვება,ინტერვიუ, SWOT ანალიზი. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშა პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობებისგანხორციელებისას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასესების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორცილებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს.გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება და ეყრდნობა მრავალფეროვან დავალებებსა და მოსწავლეთა უნარ-ჩვევების შეფასებასა თუ განვითარებას. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, განმავითარებელი შეფასება კი ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეების მიღწევების შესახებ საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე. როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. .შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ეყრდნობა თემის ფარგლებში სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება გაწერილია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ექსპერტები მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის, ხდება მოსწავლის სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კონტექსტში შესწავლა. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებელი, სხვადასხვა მეთოდს იყენებს ინფორმაციის შესაგროვებლად, მაგალითად: წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები, გამოკითხვა, დაკვირვება, თვითშეფასება, მასწავლებლის რეფლექსიები. აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ. სამომავლოდ გეგმავენ, რომ შეიმუშაონ მონაცემთა შეგროვების უფრო მრავალფეროვანი მეთოდი. სკოლა ამჟამად მონაცემთა შეგროვებას ციფრული ტექნოლოგიით არ აწარმოებს, თუმცა გეგმავს გამოყენებას. ტექნოლოგიების მასწავლებელი აღნიშნავს, რომ Microsoft forms-ის პლატფორმა კარგ შესაძლებლობას იძლევა და სასწავლო პროცესის შეფასებისას, კოლეგებთან ერთად გამოიყენებს აღნიშნულ პლატფორმას, რომლის ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება ონლაინ კითხვარების დანერგვა თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის შეგროვებისა და მონაცემების დამუშავების გამარტივების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, საჭიროება. ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა- განხორციელებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შეფასებისას ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი, აკადემიური მიღწევები, ინდივიდუალური საჭიროებები, სოციალური ფაქტორები და აშ. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით (ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები დასხვა) საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს. ინდიკატორი არ არის დარღვეული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სასკოლო-სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;˜
- საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- მასწვლებლებთან გასაუბრება.

.........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) იწყებს ახალი კურიკულუმის შემუშავებას არსებული მიღწევების და ხარვეზების გათვალიწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც ნიშნავს, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობენ სასწავლო წლის, სემესტრის შემაჯამებელ სხდომებში და აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, ადგენენ საჭიროებებს ,რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის განვითარებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის გაწერილი თუ როგორ უნდა შეიქმნას და როგორ უნდა განვითარდეს სასკოლო კურიკულუმი. ასევე მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნეს წინა წლის გამოცდილებების გაითვალისწინებით. გაითვალისწინეს ის ხარვეზები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

რაც მონიტორინგის დროს გამოიკვეთა. ასევე გეგმავენ, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, შემდეგ კი გადამუშავებულ ვერსიას გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნისას, მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც საკუთარ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებლების გამოცდილებას. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაანალიზება, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. მასწავლებლები გეგმავენ, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):სასკოლო-სასწავლო გეგმა;

• სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;˜

• საგნობრივი კურიკულუმები;

• კათედრის სამოქმედო გეგმა;

• მასწავლებლებთან გასაუბრება.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

.....................................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმოწერები:

გოჩა ღონღაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ირინა გოგონაია - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



ნინო თედორაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



ნინო ლაცაბიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



თინათინ მარქარაშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);



როლანდ ხოჯანაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



მანანა შეროზია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



საბა დარსაველიძე - ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



ნინო ვაშალომიძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



29.11.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------